აგროსფერო

ვაზის კულტურა

0190 თბილისი, კახეთის გზატკეცილი. #155
ოფისი: 2 47 30 03 / 05
აგროკონსულტაცია: 2 500 900

info@noblex.ge
www.agrosphere.ge

fb.com/Agrosphere.ge

ვაზის კულტურა

სარჩევი

5 — კულტურის ზოგადი დახასიათება

5 — ვაზის ძირითადი ქართული ჯიშები

8 — ვენახში ნიადაგის დამუშავება, მოვლა

8 — ვაზის გასხვლა-ფორმირება

9 — ვენახის გაშენება

10 — ვაზის დარგვა

10 — მორწყვა

11 — საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმა

12 — მავნებლები და დაავადებები

14 — ვაზის დაცვის სქემა

16 — ანტრაკოლი®

18 — ენვიდორი®

20 — პროფაილერი®

22 — ფალკონი®

24 — ზატო® სტარი

26 — დეცის® პროფი®

28 — მელოდი® დუო

30 — მელოდი® კომპაქტი

32 — მიკალ® ფლეში

34 — სერენადე® ასო

36 — ნატივო®

38 — პროსპერი®

40 — პასადობლი®

42 — რუმბო®

43 — სულფოლაკი®

44 — ირიკო®

45 — კუპერტინ® სუპერი

46 — არმეთილ® მ

კულტურის ზოგადი დახასიათება

ვაზი (Vitis vinifera), ორლებნიანი, ყვავილოვანი მცენარეების, ვაზისებრთა (Vitaceae) ოჯახის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ის მრავალწლიანი, სინათლის მოყვარული, ლიანა, ფოთოლმცვენი მცენარეა. საჭიროებს საყრდენს. იგი სათანადო აღზრდა-ფორმირების და მოვლის პირობებში დარგვის მეორე წელსვე იძლევა მოსავალს. სრულმსხმოიარე ერთი ჰექტარი ვენახიდან 8-12 ტონა და მეტი მოსავლის მიღება არის შესაძლებელი. ზოგიერთი ჯიშები 20-30 ტონა მოსავალსაც იძლევა.

ვაზიდან მიღებული პროდუქცია უდიდეს როლს ასრულებს ადამიანის ბალანსირებულ კვებაში და ქვეყნის ეკონომიკაში. ყურძნისგან მიიღება: ღვინო, ყურძნის წვენი, ქიშმიში. ექსპლუატაციის პერიოდი 50-60 წლით და მეტით განისაზღვრება.

ვაზის ზრდა-განვითარებისათვის ოპტიმალური პირობებია: ტემპერატურა – 25-30°C, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 65-70%, ნიადაგის ტენიანობა – 80-85%, მოსავლის აღების პერიოდში 70%, ნიადაგის არეს რეაქცია Ph = 6,0-7,5, კრიტიკული ტემპერატურული მინიმუმი – 25-30°C, კრიტიკული ტემპერატურული მაქსიმუმი +40-45°C. +8°C დაბლა ვაზის ზრდა-განვითარება წყდება. კრიტიკულია ტემპერატურული მინიმუმი -15-18°C თუ იგი ხანგრძლივია. დაბერილ კვირტს და კარგად მომწიფებულ ყურძენს შეუძლია -3-4°C ყინვის გადატანა, ხოლო ყლორტი -1°-ზე ადვილად ზიანდება.

სხვადასხვა ნიადაგზე გაშენებული თუნდაც ერთი და იგივე ჯიშის ვაზი მეტად განსხვავებული სახის პროდუქტს იძლევა: შავმიწა, მუქ-წაბლა და წაბლა ნიადაგებზე მიღებული ყურძნისგან მზადდება ორდინალური ღვინო და ყურძნის წვენი. კარგია სუფრის ყურძნის მისაღებად. ტყის ყავისფერ და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებიდან მიღებული პროდუქციისგან მიიღება მეტად მაღალხარისხიანი, მაღალი გემოვნური თვისებების მქონე, სრული და ჰარმონიული ღვინოები. ალუვიური ნიადაგები კარგ პირობებს ქმნის მაღალი გემოვნური თვისებების ღვინის დასამზადებლად. ნაცრისფერ კარბონატული ნიადაგები იძლევა საშამპანურე მასალას. დაჭაობებული და დამლაშებული ნიადაგები ვაზისათვის გამოუსადეგარია.

ვაზის მოყვანის საბაზისო აგროკალენდარი

აგროღონისძიება	დასავლეთ საქართველო	აღმოსავლეთ საქართველო
ნიადაგის განოყიერება	ოქტომბერი, ნოემბერი	ოქტომბერი, ნოემბერი
ნიადაგის დამუშავება	ოქტომბერი, ნოემბერი	ოქტომბერი, ნოემბერი
გასხვლა, დაკავება	თებერვალი, მარტის პირველი დეკადა	თებერვალი, მარტის პირველი ნახევარი
მოვლა (ნიადაგის გაფხვიერება, გამოკვება და სხვა)	მარტის ბოლო, აპრილის დასაწყისი	მარტის ბოლო, აპრილის დასაწყისი
მწვანე ოპერაციები	მარტის ბოლო, აპრილის პირველი დეკადა	აპრილის დასაწყისი, აგვისტოს პირველი ნახევარი
მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა	აპრილის დასაწყისი, აგვისტოს პირველი ნახევარი	აპრილის პირველი ნახევარი, აგვისტოს პირველი ნახევარი
მოსავლის აღება	სექტემბერი, ოქტომბრის დასაწყისი	სექტემბერი, ოქტომბრის დასაწყისი

ვაზის ძირითადი ქართული ჯიშები

- **კახური ვაზის ჯიშები** – რქაწითელი, კახური მწვანე, ხიხვი, ქისი ძირითადად კახეთის ზონაშია გავრცელებული. მაღალმოსავლიანი ჯიშებია და მათგან მეტად მაღალი ხარისხის ღვინოები მზადდება.
- **ქართლის ვაზის ჯიშები** – გორული მწვანე, ჩინური, ქყაპა, თავკვერი, შავკაპიტო, ასურეთული შავი, სუფრის გორულა, ბუდეშური.
- **იმერული ვაზის ჯიშები** – ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, დონდღლაბი, ოცხანური საფერე, ძველშავი.
- **რაჭულ-ლეჩხუმური ვაზის ჯიშები** – წულუკიძის თეთრა, მცვივანი, ალექსანდროული, მუჯურეთული, უსახელოური.
- **მეგრული ვაზის ჯიშები** – ოჯალეში, პანეში, ქვიტილური.
- **გურული ვაზის ჯიშები** – ჩხავერი, ჯანი, მტევანდიდი, კლარჯული.
- **აჭარული ვაზის ჯიშები** – ჯავახეთური, ხოფათური, საწურავი, ცხენის ძუძუ.
- **აფხაზური ვაზის ჯიშები** – ავარისხვა, კაჭიჭი, ამლახუ.


რქაწითელი


რქაწითელი ვარდისფერი


ქისი

საფერავი


ჩინური


თავკვერი


შავკაპიტო


გორულა


ცოლიკოური


ციცქა

ოცხანური საფერე

ძველშავი


წულუკიძის თეთრა


ალექსანდროული


მუჯურეთული

ოჯალეში


პანეში


ჭვიტლური


საწურავი

ჯანი


მტევანდიდი

ალადასტური


ბუდეშური თეთრი

ბუდეშური წითელი

წყარო: ასოციაცია „ქართული ღვინო“

ვენახში ნიადაგის დამუშავება, მოვლა

ვენახში ნიადაგი დიფერენცირებულად უნდა დამუშავდეს. იგი დამოკიდებულია ნარგაობის ასაკზე, აღზრდის სისტემაზე და ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე. ვენახში ნიადაგის დამუშავება მოიცავს: შავადხნულს, დაკორდებას, მულჩირებას, სიდერატების და ჰერბიციდების შეთანაწყობილ გამოყენებას.

შემოდგომაზე ვენახში ნიადაგის დამუშავება მოსავლის აღებისთანავე იწყება. მოხვნამდე შეიტანება სასუქების საჭირო რაოდენობა და ნიადაგი 18-20 სმ. სიღრმეზე მუშავდება. ნიადაგის მკვრივი ფენის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა მოხვნის სიღრმე შეიცვალოს. ახალშენ ვენახებში პლანტაჟის ან ნიადაგის ღრმად დამუშავების (ჩიზელის გამოყენების შემთხვევაში) დადებითი მოქმედების გახანგრძლივების მიზნით ნიადაგის დამუშავება მოხდება ზედაპირულად 8-10 სმ. სიღრმეზე მოხვნის გარეშე. ნიადაგის საშემოდგომო დამუშავება დაიწყება დარგვის მეორე წლიდან. შემოდგომაზე ნაზურგად მოხვნისას გაზაფხულზე ჩატარდება კულტივაცია 8-10 სმ. სიღრმეზე. ზაფხულის განმავლობაში ნიადაგის დამუშავება გულისხმობს პერიოდულ კულტივაციას, რომელიც უნდა იცვლებოდეს 5-10 სმ. სიღრმის ფარგლებში. უფრო ღრმად კულტივაცია გამოიწვევს ნამის მომხვეჭი ფესვების დაზიანებას.

ვაზთა შორის სარეველების წინააღმდეგ გამოიყენება მათოხარები. ასაკოვან ვენახებში 8-10 წელიწადში ერთხელ მოხდება ნიადაგის ღრმა გაფხვიერება. პირველ წელს იგი ჩატარდება რიგის ერთ მხარეს, მეორე წელს რიგის მეორე მხარეს. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების და სტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია სიდერატების (ხანჭკოლა, ბარდა, ცულისპირა და სხვ.) დათესვა და ნიადაგში ჩახვნა.

სარეველების მოსპობის და ტენის შენარჩუნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ნიადაგის დამულჩვა. მისი გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია ახლად გაშენებულ ვენახებში. ნიადაგის დაკორდებისას მულჩერებით სისტემატურად მოხდება ბალახების გათიბვა და ადგილზე დატოვება. ამ დროს სასუქების შეტანა მოხდება სპეციალური ღრმად შემტანი მექანიზმებით ნიადაგის მოხვნის გარეშე. ხოლო ვაზებს შორის სარეველების წინააღმდეგ გამოიყენება ტოტალური ან კონტაქტური მოქმედების ჰერბიციდები. ვენახებში როგორც რიგთაშორისებში, ისე ვაზთაშორისებში სარეველების წინააღმდეგ შესაძლებელია ტოტალური მოქმედების ჰერბიციდების გამოყენება. ამონაყრების და ვაზთა შორის სარეველების მოსასპობად გამოიყენება კონტაქტური მოქმედების ჰერბიციდები.

ვაზის მოვლაში იგულისხმება: სარემონტო სამუშაოები, გასხვლა, დაკავება, ზედმეტი ამონაყრების შეცლა, ყლორტების დანორმება, წვეროების წაწყვეტა, ნამხრევების შეცლა, ცის გახსნა, მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა, რთველის ორგანიზება.

ვაზის გასხვლა-ფორმირება

გასხვლა-ფორმირების მიზანია ვაზის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობას შორის სასურველი თანაფარდობის დამყარება, უხვი და ხარისხიანი მოსავლის მიღება.

ვაზის ფორმირების წესებიდან მიღებულია: ქართული ორმხრივი შპალერი, ქართული ცალმხრივი შპალერი, ცალმხრივი და ორმხრივი კორდონი, მრავალსაკავებლიანი თავისუფალი ფორმა და სხვ. ყველა შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სწორმდგომი შტამბის აღზრდა და მუდმივად ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნა.

ქართული ორმხრივი შპალერის შემთხვევაში ვაზზე დარჩება ორი სამამულე და ორი სანაყოფე რქა. სამამულე რქა 2-3 კვირტზე, ხოლო სანაყოფე რქა ვაზის და რქის სიძლიერის მიხედვით 7-12 კვირტზე გაისხვლება.

ცალმხრივი შპალერის შემთხვევაში ვაზს აქვს ერთი სანაყოფე და ერთი სამამულე რქა. ამ შემთხვევაში ქვედა რქა 2-3 კვირტზე, ხოლო ზედა რქა 6-8 კვირტზე გაისხვლება. ფორმირების და გასხვლის ეს წესი სუსტი ვაზების შემთხვევაში გამოიყენება.

ორმხრივი მოკლე კორდონის შემთხვევაში თითოეულ მხარზე დარჩება ორი სასხლავი რგოლი 20-25 სმ. დაცილებით. თითოეულ რგოლზე განვითარებული 2-3 რქიდან ერთი ქვედა გაისხვლება 2-3 კვირტზე სამამულედ, ხოლო ზედა 6-8 კვირტზე სანაყოფედ. მესამე რქა შეეჭრება.

თავისუფალი ფორმა ვაზის გარკვეულ ჩარჩოებში ჩაყენებას არ ითვალისწინებს. გასხვლისას ვაზზე, მიუხედავად მათი მდებარეობისა, დარჩება 3-4 სანაყოფე და ამდენივე სამამულე რქა. სამამულე რქები 2-3 კვირტზე, ხოლო სანაყოფე რქები 6-10 კვირტზე გაისხვლება.

ვენახის გაშენება

ვენახის გაშენების დროს პირველ რიგში გასათვალისწინებელია ნიადაგურ-კლიმატური პირობები. მნიშვნელობა აქვს ჰავას, ფერდობების დაქანებას, სიმაღლეს ზღვის დონიდან, ნიადაგის ნაყოფიერებას და მის თვისებებს, ქარების მიმართულებას, გრუნტის წყლების დგომის სიმაღლეს, მშრალ ადგილებში სარწყავი წყლით უზრუნველყოფას და სხვ.

სავენახე ადგილის ჰავა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: აქტიურ ტემპერატურათა ჯამი არ უნდა იყოს 2200 გრადუსზე დაბალი, ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა 16 გრადუსზე დაბალი, აბსოლუტური მინიმუმების საშუალო მინუს 15 გრადუსზე დაბალი. იმ ადგილებშე სადაც ტემპერატურა სისტემატურად ეცემა მინუს 15 გრადუსზე დაბლა ვაზი 100-120 სმ. შტამბის სიმაღლეზე უნდა აღიზარდოს.

გასათვალისწინებელია ფერდობების დაქანება, საუკეთესოა 10 გრადუსამდე დაქანების ფერდობები. უფრო დიდი დაქანებისას უნდა გაკეთდეს ტერასები. საუკეთესოა სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთით დაქანებული ფერდობები. 2 გრადუსზე მეტი დახრილობისას რიგები ფერდობის გარდიგარდმოდ უნდა განლაგდეს, რაც გამორიცხავს ნიადაგის ჩამორეცხვას, ხელს უწყობს ტენის შეკავებას და აადვლებს სამუშაოების ჩატარებას. ხარისხიანი პროდუქციის მისაღებად საუკეთესოა კარგი ჰაეროვანი, ფიზიკური, თბური, წყლიანი, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების ჩონჩხიანი და კირის საკმარისი რაოდენობით შემცველი ნიადაგები.

ვენახის გაშენებამდე საჭიროა ნიადაგის სრულყოფილი გამოკვლევა და ჩასატარებელი სამუშაოების ორგანიზება. ვაზის გაშენებამდე მოცემულ ფართობზე საჭიროა: ნიადაგის აგროქიმიური ანალიზი, ნაკვეთის გასუფთავება ბუჩქების, მსხვილი ქვების და სარეველებისაგან, ნიადაგის ზედაპირის მოსწორება, საჭიროებისას სარწყავი და სადრენაჟე ქსელის მოწყობა, ნიადაგის აგროსაწარმოო თვისებების გაუმჯობესება, ნიადაგის პლანტაჟი (50-70 სმ. სიღრმეზე, ან ჩიზელის გამოყენებით ღრმად გაფხვიერება) და ქარსაფარი ზოლების მოწყობა.

ნიადაგის ძირითადი დამუშავების წინ მოხდება ორგანულ-მინერალური სასუქებით განოყიერება ანალიზის მიხედვით. ღრმა, ღონიერ და ნოყიერ ნიადაგებზე, ტენით უზრუნველყოფილ პირობებში, მექანიზაციის გამოყენების და ხელით შრომის შემცირების მიზნით ვაზი 2,5 მეტრი რიგთაშორის და ვაზებს შორის 1,2-1,5 მეტრი დაშორებით დაირგვება. ერთ ჰა-ზე 2670-3300 ძირი. შტამბის სიმაღლე შესაძლებელია იყოს 0,8-1,0-1,2 მეტრი.

ვაზის დარგვა

ვაზის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომაზე, ისე გაზაფხულზე. უპირატესობა ენიჭება შემოდგომაზე დარგვას. ამ დროს ვაზის ფესვთა სისტემა კარგად შეეგუება ნიადაგს და გაზაფხულზე შეუფერხებლად დაიწყებს ზრდას. საშემოდგომო დარგვა წარმოებს შემოდგომა-ზამთრის თბილ დღეებში გაუყინავ ნიადაგზე. გაზაფხულზე ვაზი დაირგვება არა უგვიანეს 10-15 აპრილისა.

ნამყენი ნერგი დარგვის წინ კვლავ დახარისხდება, ნაზარდი ორ კვირტზე გადაიჭრება, დაზიანებული ფესვები შეეჭრება, ძირითადი ფესვები კი – დამოკლდება 10-15 სმ-მდე.

გაზაფხულზე დარგვისას საჭიროა ნერგის 24 საათით წყალში დალბობა. ვაზი დაირგვება ორმოს წესით. დასარგავი ორმოს ზომებია: სიღრმე 40-50 სმ, სიგანე 30 სმ. ორმოს სიღრმე 8-10 სმ-ით უნდა აღემატებოდეს ვაზის ნერგის სიგრძეს. მასში ჩაიყრება 5-6 კგ. გადამწვარი ნაკელი. უმჯობესია პარაფინირებული ნერგის დარგვა. შემოდგომაზე დარგვისას ნერგს 10 სმ. სიმაღლის კოკოლა გაუკეთდება. პარაფინირებულ ნერგს კოკოლა გაზაფხულზე შემოეცლება. გაზაფხულზე დარგვისას პარაფინირებული ნერგის დარგვისას კოკოლის გაკეთება არ არის საჭირო.

დარგვისას კარგია ნერგის ფესვთა სისტემის წუნწუხში ამოვლება ან ზრდის სტიმულატორებში დამუშავება. დარგვის შემდეგ მორწყვა აუცილებელია. ვაზის დარგვისას ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 3-4 სმ.-ით ზემოთ უნდა იყოს. დარგვის შემდეგ ვაზს შეედგმება საყრდენი და მასზე მიეკვრება დანორმებული ყლორტები. მსხმოირობის დაჩქარების მიზნით საჭიროა დარგვის წელსვე შპალერის მოწყობა.

მორწყვა

მორწყვის ჯერადობა და ნორმები დამოკიდებულია ნიადაგის ტენიანობის მაჩვენებელსა და მცენარის განვითარების ცალკეულ ფაზებზე. ვაზის ტენით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმებია:

- ჯერადობა: 3
- მორწყვის საორიენტაციო ნორმა 1 ჰა-ზე: 500-1000 მ^3.
- ტენისადმი მაქსიმალური მოთხოვნის პერიოდი: ყვავილობის დასრულების და მარცვლების მოცულობაში ინტენსიური მატების პერიოდი.
- მორწყვის მეთოდი: კვალში მიშვება ან წვეთოვანი მორწყვა. საუკეთესოა წვეთოვანი მორწყვა.

საკვები ნივთიერებებით უზრუნველყოფის საორიენტაციო სისტემა

ყოველი ერთი ტონა მოსავლის მისაღებად ჩვეულებრივი წესით შეტანისას შეთვისების კოეფიციენტის გათვალისწინებით საჭიროა: აზოტი – 5.6 კგ, ფოსფორი – 5.27 კგ, კალიუმი – 13.0 კგ. წვეთოვანი მორწყვის შემთხვევაში კი - აზოტი – 5.14 კგ, ფოსფორი – 3.73 კგ, კალიუმი – 10.0 კგ** (სუფთა ნივთიერება). ვეგეტაციის პერიოდში მაღალეფექტურია 2-3-ჯერადი ფოთლოვანი გამოკვება მიკრო და მაკროელემენტების შემცველი სასუქებით.

გამოკვების ზოგადი საორიენტაციო ნორმა 1 ჰა-ზე 10,0 ტონა მოსავლის მისაღებად სასუქების ჩვეულებრივი შეტანით

საკვები ნივთიერება	შეტანის ნორმა*	შეტანის ვადა
N - აზოტი	56,0 კგ	2/3 ადრე გაზაფხულზე, 1/3 ყვავილობის დაწყებისას
P - ფოსფორი	53,0 კგ	ნიადაგის საშემოდგომო დამუშავებისას
K - კალიუმი	130,0 კგ	ნიადაგის საშემოდგომო დამუშავებისას

* ზუსტი ნორმის დადგენა ხდება ნიადაგის აგროქიმიური ანალიზის საფუძველზე.

** წვეთოვანი მორწყვისას სასუქების შეტანა ვეგეტაციის პერიოდში პერიოდულად მიმდინარეობს მორწყვის პარალელურად.

YaraMila™ კომპლექსური გრანულირებული NPK სასუქები ნიადაგიდან შეტანისათვის

YaraMila™ NPK 8-24-24			
N	8%	S	2,8%
$N\text{-}NH_4$	7%	SO_3	7%
$N\text{-}NO_3$	1%	B	0,01%
$N\text{-}NH_2$		Cu	
P_2O_5	24%	Fe	0,1%
K_2O	24%	Mn	0,01%
Mg		Mo	
MgO		Zn	0,01%
შეფუთვა (კგ)	40 და 600	მწარმოებელი ქვეყანა	ფინეთი

მავნებლები და დაავადებები

მავნებლებიდან ზიანის მომტანია: ყურძნის ჭია, ტკიპები, ფარიანები, ცრუფარიანები, თრიფსები, ჭიჭინობლები და სხვ. დაავადებებიდან ზიანი მოაქვს: ჭრაქს, ნაცარს, ანთრაქნოზს, თეთრ, ნაცრისფერ და შავ სიდამპლეებს და სხვ.

აბლაბუდიანი ტკიპა

აბლაბუდიანი ტკიპით დაზიანებული ფოთოლი

ვაზის ნაცრისფერი სიდამპლე

ვაზის შავი სიდამპლე

ვაზის ჭრაქით დაზიანებული მტევანი

ვაზის ჭრაქით დაზიანებული ფოთოლი

ნაცარი

ნაცრით დაზიანებული მტევანი

ყურძნის ჭია

ქეჩისებური ტკიპა

ვაზის ანთრაქნოზი

თეთრი სიდამპლე

ფარიანები

ფარიანებით დაზიანებული მტევანი

ვაზის დაცვის სქემა

განვითარების სტადია (წამლობის ჩატარების პერიოდი)	მავნე ობიექტი (დაავადებები, მავნებლები)	პესტიციდის ტიპი	მცენარეთა დაცვის საშუალება	1 ჰექტარზე საჭირო პრეპარატის რაოდენობა
ფოთლის გაშლისას	შავი ლაქიანობა,	ფუნგიციდი	ანტრაკოლი®	1,5 კგ
	ტკიპა	აკარიციდი	ენვიდორი®	0,3 ლ
5-6 ფოთოლი	ჭრაქი, შავი ლაქიანობა	ფუნგიციდი	პასადობლი®	1,5 კგ
8-10 ფოთოლი	ჭრაქი	ფუნგიციდი	არმეთილი®	2,5 კგ
	ნაცარი	ფუნგიციდი	ფალკონი®	0,3 ლ
	მასიური სარეველები*	ჰერბიციდი	რუმბო®	2,0 ლ
ყვავილობის წინ	ჭრაქი	ფუნგიციდი	მელოდი® დუო	2,5 კგ
	ნაცარი, ნაცრისფერი სიდამპლე	ფუნგიციდი	ზატო® სტარი	0,5 ლ
	ყურძნის ჭია	ინსექტიციდი	დეცის® პროფი	0,05 კგ
ყვავილობის შემდეგ	ჭრაქი, ნაცრისფერი სიდამპლე	ფუნგიციდი	მიკალ® ფლეში	3,5 კგ
	ნაცარი, ნაცრისფერი სიდამპლე	ფუნგიციდი	ნატივო®	0,16 კგ
გამოხორბვლისას	ჭრაქი, წითელი ლაქიანობა	ფუნგიციდი	მელოდი® კომპაქტი	1,5 კგ
	ნაცარი	ფუნგიციდი	პროსპერი®	1,2 ლ
	ყურძნის ჭია	ინსექტიციდი	დეცის® პროფი	0,05 კგ
10-12 დღის შემდგომ	ჭრაქი, შავი სიდამპლე, ანთრაქნოზი	ფუნგიციდი	კუპერტინ® სუპერი	4,0 კგ
	ნაცარი	ფუნგიციდი	ფალკონი®	0,4 ლ
	მასიური სარეველები*	ჰერბიციდი	რუმბო®	3,0 ლ
10-12 დღის შემდგომ	ჭრაქი	ფუნგიციდი	პროფაილერი®	3,0 კგ
	ჭრაქი, ნაცრისფერი სიდამპლე	ფუნგიციდი	ნატივო®	0,18 კგ
10-12 დღის შემდგომ	ჭრაქი, შავი სიდამპლე, ანთრაქნოზი	ფუნგიციდი	კუპერტინ® სუპერი	4,0 კგ
	ნაცარი	ფუნგიციდი	ფალკონი®	0,4 ლ
10-12 დღის შემდგომ	ჭრაქი, ბაქტერიული დაავადებები	ფუნგიციდი	იროკო®	2,5 კგ
	ნაცარი	ფუნგიციდი	სულფოლაკი®	5,0 კგ
10-12 დღის შემდგომ	ჭრაქი, ბაქტერიული დაავადებები	ფუნგიციდი	იროკო®	2,5 კგ
	ნაცარი	ფუნგიციდი	სულფოლაკი®	5,0 კგ
შეთვალებისას	ჭრაქი, ბაქტერიული დაავადებები	ფუნგიციდი	იროკო®	2,5 კგ
	ყურძნის ჭია	ინსექტიციდი	დეცის® პროფი	0,05 კგ

შენიშვნა: მოცემული სქემა წარმოადგენს რეკომენდაციას და ამინდის პირობებიდან გამომდინარე შესაძლოა შეიცვალოს, კერძოდ გადანაცვლდეს წამლობების თანმიმდევრობა, გაიზარდოს ან შემცირდეს ჯერადობა!

განმარტებანი: *ჰერბიციდი რუმბო®-ს დოზა დაანგარიშებულია მხოლოდ ზოლებრივად ძირების გარშემო განვითარებული სარეველების წინააღმდეგ.

ფოთლების გაშლისას, ტკიპის გამოჩენის საშიშროებისას, შესხურდება – ენვიდორი® 0,3 ლ/ჰა, რომელსაც შავი ლაქიანობის წინააღმდეგ დაემატება ანტრაკოლი® 1,5 კგ/ჰა-ზე.

იმ ნაკვეთებში, სადაც კერობრივად ცრუფარიანას მავნეობა აღინიშნება, ყვავილობის შემდეგ ყურძნის მარცვლების ბარდის მარცვლების ზომის მიღწევისას, შესხურდება ინსექტიციდი მოვენტო® 1,5 ლ/ჰა-ზე ნორმით. მავნებლის ნაშთების გამოჩენისას მონაცვლეობაში ჩატარდება წამლობა პირიფოსი®-თ 1,5 ლ/ჰა.

ყურძნის სიდამპლისადმი მიდრეკილ ნაკვეთებში, ან როცა რთველი ჭიანურდება და კიდევ საჭიროა ყურძნის შენახვა, შეთვალებისას მტევნის არეში შესხურდება ტელდორი®-ს ან სკალა®-ს სუსპენზია განსხვავებული ნორმით.

ვაზის დაცვის საშუალებები

საუკეთესო ხარისხი, მდიდარი მოსავალი

მაღალეფექტური, კონტაქტური მოქმედების საბაზისო ფუნგიციდი ვაზის, კარტოფილის, პომიდვრის და ხეხილოვან კულტურებში სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ გამოსაყენებლად

პროპინები 700 გ/კგ
პრეპარატული ფორმა: სველებადი ფხვნილი

BAYER

ანტრაკოლი®

ანტრაკოლი® წარმოადგენს მაღალეფექტურ, კონტაქტური მოქმედების საბაზისო ფუნგიციდს. მასში გაერთიანებულია დაავადებაზე როგორც სწრაფად დამწყები, ისე შემდგომი ხანგრძლივი მოქმედების უნარი. პრეპარატის მოქმედი ნივთიერება პროპინები მაღალეფექტურია ვაშლის ქეცის, ვაზის ჭრაქის, კარტოფილის და პომიდორის ფიტოფტორას, ალტერნარიოზის (მაკროსპოროზი), კიტრის პერონოსპოროზის (ჭრაქი) და სხვა კულტურების დაავადებათა საწინააღმდეგო პროფილაქტიკური დამუშავებების დროს.

ანტრაკოლი®-ს მოქმედი ნივთიერება პროპინები შეიცავს თუთიას, რომლის ნაკლებობასაც მრავალი კულტურა განიცდის. მაგალითად, ვენახში **ანტრაკოლი®**-ს 2 კგ/ჰა-ზე შეტანით მცენარეს მიეწოდება 315 გ. თუთია, რომლის დეფიციტსაც ვაზი განსაკუთრებით ყვავილობამდე განიცდის. პრეპარატის მიმართ დაავადებათა გამძლეობა მისი მრავალწლიანი გამოყენების ისტორიის მანძილზე არ გამოვლენილა. მას გააჩნია მიმწებებლობის ძლიერი უნარი და ნაკლებად ჩამოირეცხება წვიმის მიერ.

გამოყენება:

თხილი
ანთრაქნოზი, ლაქიანობა ..... 2,5 კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 2
ლოდინის პერიოდი ..... 10 დღე

ვაშლი
ქეცი ..... 2,0-3,0 კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 3
ლოდინის პერიოდი ..... 10 დღე

პომიდორი
ფიტოფტორა, ალტერნარიოზი ..... 1,5-2 კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 4
ლოდინის პერიოდი ..... 7 დღე

ვაზის ჭრაქი

ატამი
ფოთლების სიხუჭუჭე.....3,0კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 4
ლოდინის პერიოდი..... 10 დღე

ვაზი
ჭრაქი, შავი ლაქიანობა.....2,0-2,5კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 4
ლოდინის პერიოდი..... 40 დღე

ციტრუსები
ანთრაქნოზი, ნაცრისფერი ობი,
მეჭეჭიანობა 5-6კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 4

კარტოფილი
ფიტოფტორა, ალტერნარიოზი 1,5-2,5კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 4
ლოდინის პერიოდი..... 7 დღე

კიტრი (ღია გრუნტი)
ჭრაქი, ანთრაქნოზი 1,5-2,0კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 4
ლოდინის პერიოდი..... 7 დღე

ბაღჩეული კულტურები (საზამთრო, ნესვი)
ჭრაქი, ანთრაქნოზი 1,5-2,5კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 4
ლოდინის პერიოდი..... 7 დღე

თამბაქო
ჭრაქი, ალტერნარიოზი 1,5-2,0კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 3

ჩაი
ანთრაქნოზი, ცერვო-რეპტიოროზი.....
.....6,25-7,5კგ/ჰა
წამლობის მაქსიმალური ჯერადობა 1
ლოდინის პერიოდი..... 30 დღე

ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში წამლობებს შორის ინტერვალი შეადგენს 8-10 დღეს. არახელსაყრელი კლიმატური პირობების (მაღალი ტენიანობა, ძლიერი ნალექი, და ა.შ.) შემთხვევაში აუცილებელია წამლობებს შორის ინტერვალის შემცირება.

მცენარეების მედეგობა:

ცდებიდან გამომდინარე, **ანტრაკოლი**® კარგად გადაიტანება მითითებული კულტურების ყველა ჯიშის მიერ რეკომენდებული ხარჯვის ნორმებით გამოყენებისას.

ფუტკრებზე ტოქსიკურობა, წყალსატევების დაცვა:

რეკომენდებული ხარჯვის ნორმებით გამოყენებისას პრეპარატი არ არის საშიში ფუტკრებისათვის. პრეპარატის და მისი ნარჩენების, აგრეთვე გამოყენებული ტარისა და შეფუთვის წყალსატევებში მოხვედრა დაუშვებელია.

უპირატესობები:

» **ანტრაკოლი**® უზრუნველყოფს კულტურული მცენარის თუთიით (განვითარების ძირითადი მიკროელემენტი) გამდიდრებას

» სწრაფი დაწყებითი და ხანგრძლივი შემდგომი მოქმედება

» რეზისტენტობის არარსებობა

» დაავადებებზე მოქმედების მაღალი ეფექტი



შეაჩერე ტკიპა განვითარების ნებისმიერ ეტაპზე

არასისტემური მოქმედების აკარიციდი

სპიროდიკლოფენი 240 გ/ლ
პრეპარატული ფორმა: სუსპენზიის კონცენტრატი

ენვიდორი® მიეკუთვნება კეტოენოლების ახალ ქიმიურ კლასს. მოქმედების ახალი მექანიზმის – ლიპიდების სინთეზის ბლოკირების – დახმარებით **ენვიდორი**® არ იწვევს მავნებლებში ჯვარედინ რეზისტენტობას ერთი ტრადიციული აკარიციდით. **ენვიდორი**® ეფექტურია ტკიპების განვითარების ყველა სტადიაზე (კვერცხები, მატლები, პროტონიმფები, დეიტონიმფები და აგრეთვე ზრდასრული დედალი ტკიპები) კონტაქტური მოქმედების დახმარებით. მამალი ტკიპები არ აყენებენ ზიანს კულტურას და ინახება როგორც საკვები ობიექტები მტაცებელი ტკიპებისათვის. ტკიპების წინააღმდეგ დამუშავების ყველაზე მიზანშეწონილ ვადად შეიძლება ჩაითვალოს ადრეული გამოყენება, როდესაც პოპულაციის დონე არის დაბალი, რაც იძლევა შემდგომი დამუშავების ეკონომიის შესაძლებლობას. თუმცა **ენვიდორი**® აჩვენებს მაღალ ეფექტურობას ვეგეტაციის სეზონის დაწყებიდან მის დასრულებამდე. ამიტომ ის აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნას ტკიპების რიცხვის გაზრდის დროს.

ეფექტურობა:

ტკიპები

- აბლაბუდიანი (Tetranychidae)
  - » ვაშლის ყვითელი აბლაბუდიანი ტკიპა (Eotetranychus pomi)
  - » ბაღის აბლაბუდიანი ტკიპა (Schizotetranychus pruni)
  - » ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა (Tetranychus urticae)
  - » ხეხილის წითელი ტკიპა (Panonychus ulmi)
  - » კუნელის ტკიპა (Tetranychus viennensis)
  - » ხეხილის ყავისფერი ტკიპა (Bryobia redicorzevi)
- ქეჩისებრი ტკიპა
  - » შლეხტენდალის ტკიპა (Aculus schlechtendali)
    ყურძნის ტკიპა (Eriophyes vitis)
  - » მსხლის ქეჩისებრი ტკიპა (Eriophyes pyri)
  - » მოცვის ტკიპა (Eriophyes ribis)
- სხვადასხვა კოგნიტური ტკიპები (Tarsonomidae)
  - » ტყის მარწყვის ტკიპა (Tarsonemus pallidus)

გვერდითი ეფექტები მწერებზე:

მსხლის ფსილა (Psylla piri) – ყვითელი კვერცხის ფაზა. ბელტისებრი ჩადუნა (Lepidosaphes ulmi) – ზოოსფორების სტადია.

გამოყენება:

თესლოვანი ხეხილი

მსხლის ჟანგა ტკიპა, ხეხილის წითელი ტკიპა, ვაშლის მძიმისებრი ფარიანა და სხვა .. 0,4-0,6ლ/ჰა 1000ლ. სამუშაო ნაზავი 1 ჰა-ზე.

კურკოვანი ხეხილი

ატმის ვერცხლისფერი ტკიპა, ქლიავის ვერცხლისფერი ტკიპა, ხეხილის მურა ტკიპა, ხეხილის წითელი ტკიპა, ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა და სხვა ..... 0,4-0,6ლ/ჰა 1000ლ. სამუშაო ნაზავი 1 ჰა-ზე.

ვაზი ..... 0,4 ლ/ჰა
ხეხილის წითელი ტკიპა, აბლაბუდიანი ტკიპა, ყურძნის ტკიპა.
დამუშავების მაქსიმალური ჯერადობა 2
ლოდინის პერიოდი ..... 30 დღე

სოიო ..... 0,4-0,5 ლ/ჰა
აბლაბუდიანი ტკიპა.
დამუშავების მაქსიმალური ჯერადობა 2
ლოდინის პერიოდი ..... 30 დღე

ტყის მარწყვი ..... 0,4-0,8 ლ/ჰა
აბლაბუდიანი ტკიპა, ტყის მარწყვის ტკიპა.
დამუშავების მაქსიმალური ოდენობა..... 2

გარგარი, ქლიავი ..... 0,6 ლ/ჰა
ტკიპები.
დამუშავების მაქსიმალური ჯერადობა 2

კომში ..... 0,6 ლ/ჰა
ნაყოფჭამია.
დამუშავების მაქსიმალური ჯერადობა 2

ალუბალი, ბალი ..... 0,6 ლ/ჰა
ტკიპა, ნაირსახეობები.
დამუშავების მაქსიმალური ჯერადობა 2

მოცხარი, ხურტკმელი, მაყვალი ..... 0,4 ლ/ჰა
ტკიპა, ნაირსახეობები.
დამუშავების მაქსიმალური ჯერადობა 2

ნუში, თხილი ..... 0,4-0,6 ლ/ჰა
ტკიპა, ნაირსახეობები.
დამუშავების მაქსიმალური ჯერადობა 2

ციტრუსები

ციტრუსების კვირტის ტკიპა, ნარინჯისფერი ბრტყელტანა ტკიპა, ხეხილის მურა ტკიპა, ექვსწერტილიანი აბლაბუდიანი ტკიპა, ციტრუსოვანთა ბეწვიანი წითელი ტკიპა, ვერცხლისფერი ტკიპა, ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპა და სხვა ..... 0,2-0,4ლ/ჰა 1000 ლ. წყალზე.

დეკორატიული მცენარეები ..... 0,4 ლ/ჰა
ტკიპა, ნაირსახეობები.
დამუშავების მაქსიმალური ოდენობა..... 2

უსაფრთხოება გარემოსათვის:

სწორი დოზირების პირობებში ენვიდორი® უსაფრთხოა ფუტკრებისათვის, მტაცებელი მწერებისა და ტკიპებისთვის, და აგრეთვე ნიადაგის ფაუნისათვის. დამუშავების დროს აუცილებელია კანონმდებლობით განსაზღვრული სივრცითი შეზღუდვების დაცვა.

თავსებადობა:

ენვიდორი® თავსებადია მრავალ ფუნგიციდთან და ინსექტიციდთან. ამის მიუხედავად რეკომენდებულია შეზავების წინა ცდის ჩატარება. არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე მისი ფუნგიციდ **მიკალ®**-თან შეზავება არ არის რეკომენდებული.

უპირატესობები:

- » ფოთლებთან მიკრობა (ლიპოფილური თვისებები), მაღალი მდგრადობა ნალექების მიმართ
- » გამოყენების ფართო სპექტრი, ნაკლები დამოკიდებულება ამინდის პირობებზე (ტემპერატურა, ჰაერის ტენიანობა)
- » გამოყენების მოქნილობა, განსაკუთრებული კონტროლი ყველა მნიშვნელოვანი სახეობისთვის
- » ძლიერი ოვიციდური მოქმედება კარგი ეფექტურობით ტკიპის და ტკიპის დედლების განვითარების ყველა სტადიის წინააღმდეგ

ღამით ჯანსაღი და მშვიდი ძილის გარანტი

სისტემური მოქმედების ფუნგიციდი ვაზისა ჭრაქის წინააღმდეგ

ფლუოპიკოლიდი 44,4 გ/კგ
ალუმინის ფოსეთილი 667
პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

პროფაილერ®-ს ახასიათებს ძლიერი პროფილაქტიკური მოქმედება, მას ასევე გააჩნია ტრანსლამინარული მოქმედების უნარი, რაც განაპირობებს სამკურნალო და ანტისპორულანტურ ეფექტს. პრეპარატს ახასიათებს მდგრადობა წვიმით ჩამორეცხვისადმი და გახანგრძლივებული მოქმედების უნარი.

თავსებადობა:

არ არის რეკომენდებული პრეპარატის გამოყენება აზოტის შემცველ ფოთლოვან სასუქებთან, ზეთოვან სუსპენზიებთან, სპილენძისა და გოგირდის შემცველ პრეპარატებთან ერთად. სხვა შემთხვევებში აუცილებელია შემოწმება ფიზიკო-ქიმიურ და ტემპერატურულ პირობებთან თავსებადობაზე.

რეზისტენტობა:

პრეპარატი შეიცავს მოქმედების განსხვავებული მექანიზმის მქონე ორ მოქმედ ნივთიერებას, რაც გამორიცხავს პათოგენთა რეზისტენტობას პრეპარატის ნორმების დაცვის შემთხვევაში.

უპირატესობები:

- » შესანიშნავი ეფექტურობა ფოთლებსა და მტევნებზე
- » კარგი სელექციურობა
- » უსაფრთხო სამიზნე კულტურებისათვის
- » შესანიშნავი მოქმედება მტევნებსა და ფოთლებზე
- » ძლიერი სისტემური და ტრანსლამინარული აქტივობა
- » კარგი რეგულატორული პროფილი

გამოყენება

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)	ლოდინის პერიოდი (დღე)	გამოყენების ჯერადობა
ვაზი	ჭრაქი	2,2-3,0	28	2

სამუშაო ხსნარის ოდენობა: 1000 ლ/ჰა-ზე.

სამმაგი მოქმედება, სამმაგი სარგებელი

მაღალეფექტური ფუნგიციდი ვაზისა და მარცვლეული კულტურების უმთავრესი დაავადებების წინააღმდეგ

ტებუკონაზოლი 167 გ/ლ
სპიროქსამინი 250 გ/ლ
ტრიადიმენოლი 43 გ/ლ
პრეპარატული ფორმა: ემულსიის კონცენტრატი

ფალკონი® წარმოადგენს ახალი თაობის ფუნგიციდს 3 მოქმედი ნივთიერებით, რაც გამორიცხავს დაავადების გამომწვევი სოკოს გამძლეობას (რეზისტენტობას).

ფალკონი® ეს ახალი სუპერფუნგიციდია, რომლის გამოყენება შეიძლება როგორც პროფილაქტიკური, ასევე კურაციული (სამკურნალო) წამლობებისას.

ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში წამლობებს შორის ინტერვალი შეადგენს 10-15 დღეს. არახელსაყრელი კლიმატური პირობების (მაღალი ტენიანობა, ძლიერი ნალექი და ა.შ.) შემთხვევაში აუცილებელია წამლობებს შორის ინტერვალის შემცირება.

BAYER

ფალკონი®

თავსებადობა:

ფალკონი®-ს შერევა შეიძლება ზრდის მრავალ რეგულატორთან, თხევად სასუქებთან, ინსექტიციდებთან, სხვა კონტაქტურ და სისტემურ ფუნგიციდებთან.

გამოყენება

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)	ლოდინის პერიოდი (დღე)
ვაზი	ნაცარი	0,3	30
ხორბალი	ჟანგა, სეპტორიოზი, ფუზარიოზი, ნაცარი	0,6	20

უპირატესობები:

- » თავთავის ფუზარიოზის საწინააღმდეგო ერთადერთი ეფექტური ფუნგიციდი საქართველოში
- » შეიცავს სამ მოქმედ ნივთიერებას
- » გამოყენების ფართო დიაპაზონი
- » ერთსა და იმავე თესლბრუნვაში ყოველწლიური გამოყენების შესაძლებლობა
- » გააჩნია პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედება და კარგად გამოხატული „სტოპ-ეფექტი“
- » გამოყენების დაბალი ნორმა

ნაცრით დაავადებული მტევანი



ნაცრით დაავადებული ფოთოლი

ნაცრით დაავადებული ყლორტი

ნაყოფის უზადო ვიზუალი

ახალი მეზოსტემურ-სისტემური მოქმედების ფუნგიციდი

ტრიფლოქსისტრობინი 120გ/ლ
პირიმეთანილი 400გ/ლ
პრეპარატული ფორმა: სუსპენზიის კონცენტრატი

ზატო® სტარი – კომბინირებული, მეზოსტემურ-სისტემური მოქმედების ფუნგიციდი, მოქმედების ფართო სპექტრით. იცავს ვაშლს ქეცისგან, ნაცრისგან, და ნაყოფის სიდამპლეებისგან. ასევე გამოიყენება ვაზზე ნაცრისფერი სიდამპლის წინააღმდეგ. რეკომენდებულია მისი შესხურება მცენარეთა ფოთლებსა და ნაყოფებზე. მისი გამოყენებისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროს წარმოადგენს პერიოდი ვარდისფერი ბუტონის ფაზიდან ყვავილების 90%-ის გაცვენამდე. მცენარეზე მოხვედრიდან დაახლოებით ნახევარი საათის ფარგლებში პრეპარატი იწყებს მოქმედებას მზარდ კონიდიუმებზე, არღვევს მიტოქონდრიების სუნთქვის პროცესს და მეთიონების სინთეზს.

BAYER

ზატო სტარი®

გამოყენება

კულტურა	დაავადება	ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა)	დამუშავების მაქსიმალური ოდენობა	დამუშავებებს შორის შუალედი (დღე)	გამოყენების ვადები
ვაზი	ნაცარი, ნაცრისფერი სიდამპლე	0,4 - 0,6	3	7 - 12	ვეგეტაციის პერიოდში
ვაშლი	ქეცი, ნაცარი, ნაყოფის მონილიოზური სიდამპლე	0,4 - 0,6	3	7 - 12	ვეგეტაციის პერიოდში
თხილი	ნაცარი, ნაყოფის სიდამპლეები	0,5	3	7 - 12	ვეგეტაციის პერიოდში

ორივე კომპონენტს შეუძლია გაზური ფაზით გადანაწილება

მოქმედების მექანიზმი:

ტრიფლოქსისტრობინი არღვევს სუნთქვის პროცესს დაავადების გამომწვევის უჯრედების მიტოქონდრიებში. პირიმეთანილი აჩერებს მეთიონების ბიოსინთეზის პროცესს.

თავსებადობა:

პრეპარატი შეიცავს ორ მოქმედ ნივთიერებას. სხვა პრეპარატთან შერევამდე აუცილებელია ფიზიკო-ქიმიური თავსებადობის შემოწმება.

რეზისტენტობა:

მოქმედების სხვადასხვა მექანიზმების მქონე ორი მოქმედი ნივთიერების არსებობა გამორიცხავს რეზისტენტობას.

უპირატესობები:

» ორი პრინციპულად განსხვავებული მოქმედების მექანიზმის მქონე მოქმედი ნივთიერების კომბინაცია გამორიცხავს რეზისტენტობას პრეპარატის მიმართ

» პროფილაქტიკური, სამკურნალო და ანტისპორულიანტური მოქმედება

პირიმეთანილის გადაადგილება (ფოთლის ჭრილი)



» სისტემური და გაზური ფაზით მოქმედების უნარი, რაც უზრუნველყოფს პრეპარატის სრულ გადანაწილებას მცენარეზე

» მოქნილი გამოყენება, დამუშავებებს შორის გაზრდილი ინტერვალით

» პრეპარატის მოქმედების ეფექტურობა არ არის დამოკიდებული ტემპერატურულ პირობებზე

» ჩამორეცხვისადმი მდგრადობა (შესხურებიდან 2 საათის შემდეგ)

» შესანიშნავი ტოქსიკოლოგიური მახასიათებლები

ტრიფლოქსისტრობინის გადაადგილება (ფოთლის ჭრილი):

1. ძლიერი აქტივობა ფოთლის ზედაპირზე
2. ფოთლის ზედაპირზე გადანაწილების ძლიერი ეფექტი
3. ფოთლის ცვილისებრი ფენის მიერ შთანთქმა
4. ქსოვილში შეჭრა
5. ტრანსლამინარული გადაადგილება



ხარისხი, რომელსაც შეგიძლია ენდო

თანამედროვე, კონტაქურ-ნაწლავური მოქმედების ინსექტიციდი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებში მავნებლებზე გამოსაყენებლად

დელტამეტრინი 250 გ/კგ
პრეპარატული ფორმა: წყალში ხსნადი გრანულები

დეცის® პროფი ცნობილ ინსექტიციდ **დეცის®**-ს ახალი გაუმჯობესებული ფორმულაციაა, მოქმედი ნივთიერების მომატებული კონცენტრაციითა და გამოყენებისათვის ხელსაყრელი პრეპარატული ფორმით წყალში ხსნადი გრანულებით.

დეცის® პროფი გამოცდილ იქნა 50-ზე მეტ კულტურაზე 140 ქვეყანაში, რის დროსაც არ გამოვლინდა მცენარეზე არც ერთი ფიტოტოქსიკურობის შემთხვევა.

